

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ზ ა მ ტ კ ი ც ე ზ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ჭ. ზეიძე

ზურაბ ზუცხრიკიძე

„04“ „08“ 2014 წელი

ეგზ. № 1

მარნეულის მუნიციპალიტეტის
2012-2013 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში *აღ 20/00*

2014 წელი

სარჩევი

აუდიტის ძირითადი მიზანი.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა	4
❖ ბიუჯეტები.....	5
❖ მუნიციპალიტეტში განხორციელებული შესყიდვები	9
❖ მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი იურიდიული პირები.....	10
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	10
ბიუჯეტის პროექტის შედგენა, ბიუჯეტის შესრულება და აღრიცხვა-ანგარიშგება.....	10
სახელმწიფო შესყიდვა.....	13
სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა	14
გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები.....	15
სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა	17
საგზაო სამუშაოების შესყიდვა	19
დაუსაბუთებელი ხარჯები	25
უხარისხოდ შესრულებული სამუშაო	27
მიუღებელი საბიუჯეტო შემოსავლები	28
საკადრო საკითხები	32
სატრანსპორტო საშუალებები და საწვავის ხარჯი	33
ბიუჯეტიდან გაწეული არაეკონომიური ხარჯი	35
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	35
მასშტაბის შეზღუდვა.....	41
პირობითი მოსაზრება.....	42
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	42
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	42

აუდიტის ძირითადი მიზანი

დასკვნის გაცემა მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე.

აუდიტის დასკვნაში აისახა:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა - საქმიანობის წარმართვა, რესურსების გამოყენება, ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების მოთხოვნათა დაცვა, მოქმედი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- მართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში დანერგილი შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი ზედამხედველობა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. აგრეთვე ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საქმიანობის ეკონომიურად და პროდუქტიულად განხორციელებაზე.

გარდა ამისა, ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტორებისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის

შესახებ, შეესაბამება თუ არა მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

მარნეულის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 2013 წლის მონაცემებით, შეადგენს 129,8 ათას კაცს. მათ შორის: ქალაქად – 20,5 ათასი, სოფლად – 109,3 ათასი; მუნიციპალიტეტი აერთიანებს 18 ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც მოიცავს ქალაქ მარნეულს და 79 სოფელს.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების

გათვალისწინებით, წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;

- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა.

❖ ბიუჯეტები

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 37104,9 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა - 34094,2 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)

დასახელება	2012	2013	ჯამი
შემოსულობები	19467,4	17637,5	37104,9
შემოსავლები	16737,8	17347,2	34085,0
არაფინანსური აქტივების კლება	2729,6	290,3	3019,9
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
გადასახდელები	19853,5	14240,7	34094,2
ხარჯები	10674,3	8355,9	19030,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	9080,8	5773,8	14854,6
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0	0	0
ვალდებულებების კლება	98,4	111,0	209,4
ნაშთის ცვლილება	-386,1	3396,8	3010,7


➤ შემოსულობები

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების შესაბამისად, 2012-2013 წლებში შემოსულობების 91,9% მოიცავს შემოსავლებს, ხოლო 8,1 % - არაფინანსური აქტივების კლებას.

შემოსულობები 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, შემცირებულია 1829,9 ათასი ლარით.

2012-2013 წწ. შემოსულობების დინამიკა

(ათასი ლარი)



2013 წელს შემოსულობების შემცირება განპირობებულია ძირითადად არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებლის შემცირებით (მიწის რეალიზაცია).

➤ გადასახდელები

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების თანახმად, 2012-2013 წლებში გადასახდელების 55,8% მოიცავს ხარჯებს, არაფინანსური აქტივების ზრდა - 43,6 %-ია, ხოლო ვალდებულებების კლება - 0,6 %.


2012 წელთან შედარებით, გადასახდელები 2013 წელს შემცირებულია 5612,8 ათასი ლარით, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3306,9 ათასი ლარით.

- **ხარჯები**

ხარჯები 2013 წლის განმავლობაში შემცირებულია 2318,4 ათასი ლარით¹ (21,7%), რადგან 2012 წლის ბიუჯეტში ასახული იყო 3310,0 ათასი ლარი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების სახით, რაც არ არის თვითმმართველი ერთეულის პირდაპირი ხარჯი. თანადაფინანსების გარეშე ხარჯების ზრდა 991,6 ათასი ლარია.

ხარჯების დინამიკა

(ათასი ლარი)



წარმოდგენილი მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში ხარჯებიდან ძირითადად გაიზარდა „შრომის ანაზღაურებისა“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლები. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ზრდა როგორც შტატების, ასევე ხელფასების მომატებამ გამოიწვია.

¹ ხარჯები: 2012 წელი - 10674,3 ათასი ლარი, 2013 წელი - 8355,9 ათასი ლარი.

➤ ფულადი სახსრების ნაშთები


მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთები 2012 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 2625,2 ათას ლარს, 2013 წლის 1 იანვრისათვის -2201,2 ათას ლარს, ხოლო 2014 წლის 1 იანვრისათვის - 5444,4 ათას ლარს.

➤ არაფინანსური აქტივების ზრდა

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, 2013 წელს შემცირებულია 36,4 %-ით, ანუ 3306,9 ათასი ლარით. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები - 931,7 ათასი ლარით, ხოლო საკუთარი შემოსავლები 2375,2 ათასი ლარით ნაკლებია დახარჯული.

➤ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოდგენილია 2012-2013 წლების ჯამური მაჩვენებლით.



2012-2013 წლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებელი - 33 %-ია, ხოლო საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხვედრითი წილი - 27%, რომელიც ძირითადად წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფას მოიცავს. გადასახდელები თავდაცვასა და ჯანმრთელობის დაცვაზე - 1 %-ს შეადგენს.

❖ მუნიციპალიტეტში განხორციელებული შესყიდვები

მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ, 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე, ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტებისათვის საჭირო სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდა 952 გამარტივებული შესყიდვის, 79 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, 38 ელექტრონული ტენდერის, 17 კონსოლიდირებული ტენდერისა და 20 კონკურსის მეშვეობით.

(ათასი ლარი)

შესყიდვის საშუალება	ხელშეკრულები ს რაოდენობა	ფაქტობრივად გადახდილი თანხა	ხელშეკრულ ების რაოდენობა	ფაქტობრივად გადახდილი თანხა	სულ ხელშეკრულების რაოდენობა	სულ თანხა
	2012 წელი		2013 წელი			
გამარტივებული შესყიდვა	428	5090,4	524	2395,1	952	7485,5
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	44	763,3	35	740,4	79	1503,7
ელექტრონული ტენდერი	13	5045,3	25	3994,4	38	9039,7
კონსოლიდირებული ტენდერი	8	231,5	9	232,8	17	464,3
კონკურსი	7	43,0	13	42,0	20	85,0
სულ:	500	11173,5	606	7404,7	1106	18578,2

❖ მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი იურიდიული პირები

მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია 5 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) და 4 ა(ა)იპ, რომლებიც ძირითადად სუბსიდიის ფორმით ფინანსდება.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ბიუჯეტის პროექტის შედგენა, ბიუჯეტის შესრულება და აღრიცხვა-ანგარიშგება

მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის პროექტის შედგენის, ბიუჯეტის შესრულებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით გაწეული საქმიანობა, რიგ შემთხვევებში, არ შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის გამგეობამ ვერ წარმოადგინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 2012-2013 წლების პრიორიტეტების დოკუმენტების მომზადების შესახებ².

- 2012 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი არ შეიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიმდინარე 2011 წლის საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს; საშუალოვადიანი პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების მიზნებსა და შედეგებს.

- 2013 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი არ შეიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიმდინარე 2012 წლის საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს³.

- მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ საბიუჯეტო განაცხადის ფორმები, ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით, მხარჯავ დაწესებულებებში არ

² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 73, პუნქტი 3.

³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 76, პუნქტი 4.

გაგზავნილა და შესაბამისად, არ მიღებულა⁴. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტებში ისე ჩაიდო და დამტკიცდა სუბსიდიის მაჩვენებლი, რომ დადგენილი არ იყო მხარჯავი დაწესებულებების საშტატო განრიგი, მათი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების სიდიდე.

- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ დაწესებულებებზე 2012-2013 წლებში სუბსიდიის ფორმით გაწეულია სულ 4369,72 ათასი ლარის ხარჯი. ბიუჯეტის დამტკიცებისა და ცვლილების განხორციელების პარალელურად, მათი დეტალური ბიუჯეტი მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით, რომელთაც ხარჯთაღრიცხვის ფორმა აქვს და მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯების შესახებ, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით. დამტკიცებული დოკუმენტი, როგორც წესი, არ შეიცავს: ასიგნებების გაანგარიშებას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით; დასაქმებულთა რიცხოვნობას; ინფორმაციას ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების სხვა წყაროების შესახებ (გარდა თვითმმართველობის ბიუჯეტისა), როგორცაა, დონორების დაფინანსება, საკუთარი შემოსავლები, თანადაფინანსება; საკუთარი შემოსავლების არსებობის შემთხვევაში, მის საპროგნოზო მაჩვენებელს და სხვ.

არის შემთხვევები, როდესაც საბიუჯეტო დაფინანსების (სუბსიდია) დამტკიცებისა თუ კორექტირების შემდეგ, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვები, ანუ დეტალური ბიუჯეტები დამტკიცებული არ არის, ან დამტკიცებულია ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებისაგან განსხვავებული მოცულობით.

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების საფუძველია გამგეობის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი განმარტებითი ბარათი, რომელიც არ შეიცავს საჭირო დასაბუთებას გამგეობის მიერ მოთხოვნილი ცვლილებების შესახებ და მასში აღწერილია საბიუჯეტო თანხების მოძრაობა.

- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ადგილობრივი

⁴საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77, პუნქტი 3.

თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო⁵. მიუხედავად ცვლილებების მრავალგზის განხორციელებისა, როცა 2012 წლის ბიუჯეტი საბოლოოდ დაზუსტდა 21 დეკემბერს, ხოლო 2013 წლის ბიუჯეტი - 24 დეკემბერს:

- 2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებას დააკლდა 1755,8 ათასი ლარი (გეგმა-21609,3; ფაქტი-19853,5 ათასი ლარი).

- 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებას დააკლდა 5537,8 ათასი ლარი (გეგმა-19778,5; ფაქტი-14240,7 ათასი ლარი).⁶

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁷, ბიუჯეტის შეუსრულებლობისათვის არ განუხილავს აღმასრულებელი ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებამოსილების⁸ შესაბამისად არ მიუღია გადაწყვეტილება ბიუჯეტის შესრულების 2012 წლის ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

- მარნეულის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს წარმომადგენლობით ორგანოში წარადგენს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური. სამსახურის მიერ მომზადებული ბიუჯეტის კვარტალური მიმოხილვებში ფაქტობრივი მოცულობები არ არის შედარებული შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, რის გამოც დოკუმენტი არ იძლევა ანალიზისა და შედარების საშუალებას: რამდენად შესრულდა მოცემულ პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებები⁹.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში არ მოიცავს:

ა) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

ბ) ინფორმაციას მხარჯავი დაწესებულებების მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამებისა და

⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 81, პუნქტი 1.

⁶ მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები.

⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1.

⁸ დასახელებული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლები 85-86.

დონისძიებების შესრულების შესახებ;

გ) ინფორმაციას პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

- სახელმწიფო ბიუჯეტის სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, შესყიდვებისას წარმოქმნილი ეკონომიისა და დაუსრულებელი სამუშაოების გამო, სრულად არ არის ათვისებული და აუდიტის მიმდინარეობისას ნაშთად ირიცხება 1805,8 ათასი ლარი: აქედან, 2012 წელს მიღებული თანხებიდან - 59,6 ათასი ლარი, 2013 წელს - 1746,2 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ინფორმაციას აღნიშნულის თაობაზე წარუდგენდა გამგეობას¹⁰, თუმცა აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება ათვისებული თანხების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმირების თაობაზე.

- მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი ნაშთები 2013 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 2079,1 ათას ლარს, ხოლო 2014 წლის 1 იანვრისათვის - 3047,5 ათას ლარს.

- 2012-2013 წლებში სხვა დონის ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ობიექტებისათვის დახარჯულია 289,8 ათასი ლარი, მათ შორის: წითელი ხიდის რეაბილიტაცია - 57,9 ათასი ლარი; 3 ერთეული კვადროციკლის შესყიდვა ქვემო ქართლში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის - 70,5 ათასი ლარი; საკალათბურთო კლუბ „ენერჯი ინვესტის“ დაფინანსება - 100 ათასი ლარი; საკალათბურთო კლუბ შპს „რუსთავი 1991“-ის დაფინანსება - 61,4 ათასი ლარი.

სახელმწიფო შესყიდვა

მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების

¹⁰ წერილი №2, 15.01.2013; წერილი №2, 20.01.2014.

შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მოთხოვნები და სხვა მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები, კერძოდ:

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა

➤ სახელმწიფო ბიუჯეტის სხვადასხვა ფონდებიდან მისაღები ასიგნებებისათვის მუნიციპალიტეტი სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმას დამოუკიდებელი ფორმით ამტკიცებს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფორმასთან ერთად, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსების წყარო ორივე შემთხვევაში ადგილობრივი ბიუჯეტია. შესყიდვების გეგმის ამგვარი მიღება სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფას იწვევს, რაც მუნიციპალიტეტის მხრიდან მონეტარული ზღვრების დარღვევის საფუძველია.

➤ სააუდიტო პერიოდში მარნეულის მუნიციპალიტეტმა მონეტარული ზღვრების დარღვევით,¹¹ არასწორად შედგენილი შესყიდვების გეგმების ან გეგმით განსაზღვრული შესყიდვის საშუალების უგულვებელყოფით, განახორციელა სულ 18 სახელმწიფო შესყიდვა¹², ჯამური საანგარიშსწორებო თანხით - 89,5 ათასი ლარი. მათ შორის: 16 შემთხვევაში, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ნაცვლად, გამოყენებულია გამარტივებული შესყიდვის, ხოლო 2 შემთხვევაში - ელექტრონული ტენდერის ნაცვლად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალება. მაგალითად:

- მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2012 წლის გეგმაში 45300000 დანაყოფით არასწორად არის გათვალისწინებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოყენება, რადგან დანაყოფის მოცულობა არ ჯამდება სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმასთან სახელმწიფო ბიუჯეტის სხვადასხვა ფონდიდან მისაღები ასიგნებებისათვის, რომელიც მუნიციპალიტეტმა დამოუკიდებელი ფორმით დაამტკიცა. არასწორად დამტკიცებული გეგმის საფუძველზე, მუნიციპალიტეტმა

¹¹საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 3.

¹²2012 წელი - ხელშეკრულებები №230, 232, 306, 363, 392, 423, 481; 2013 წელი - ხელშეკრულებები №№105,188, 412, 477, 502, 535, 569, 577, 591, 601, 607.

ელექტრონული ტენდერის ნაცვლად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალება გამოიყენა¹³.

- გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, შესყიდვების განხორციელების შემდეგ, შესყიდვის ცალკეული დანაყოფის საერთო ღირებულების 5 ათას ლარს ზემოთ გაზრდის შემთხვევებში, საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა მუნიციპალიტეტმა ერთ შესყიდვად არ განიხილა და გააგრძელა გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენება¹⁴.

➤ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო შესყიდვის წლიურ გეგმებში ყველა შესყიდვის დაწყებისა და შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავარაუდო ვადად განსაზღვრულია I-IV კვარტალი. გეგმა ამ ფორმით არ განსაზღვრავს შესყიდვის პროცედურების განხორციელების რეალურ პერიოდს¹⁵.

➤ 2012 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვების წლიური გეგმით დამტკიცებული დანაყოფების კოდების ღირებულების გადაჭარბებით განხორციელებულია 3 სახელმწიფო შესყიდვა¹⁶ ისე, რომ გეგმის კორექტირება შემდგომშიც არ მომხდარა.

გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები

2012-2013 წლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით განხორციელდა 152 გამარტივებული შესყიდვა, ღირებულებით 1 122,7¹⁷ ათასი ლარი.

გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება

¹³ ხელშეკრულებები №№306,481.

¹⁴ 2013 წელი, ხელშეკრულებები №№105,188,412,477,502, 535,569, 577,591, 601,607.

¹⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №28რძმანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“: მუხლი 4, პუნქტი 6¹, „ზ“ ქვეპუნქტი.

¹⁶ ხელშეკრულებები №№313, 430, 451.

¹⁷ 2012 წელს - 755,6 ათასი ლარი, 2013 წელს - 367,1 ათასი ლარი.

ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს, ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას¹⁸. მუნიციპალიტეტის მიერ გადაუდებელ აუცილებლობად ჩათვლილია ისეთი შესყიდვები (ავტოტრანსპორტის შეკეთება, გარე განათების მოწყობა, საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება, ორგტექნიკის, ავეჯის, კატრიჯების შეძენა, სარწყავი არხების გაწმენდა და სხვ.) რომელთა წინასწარი დაგეგმვა და ელექტრონული საშუალებით შესყიდვა რეალურად შესაძლებელია. აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება, თუ რატომ არ მოხდა მოსალოდნელი შესყიდვების წინასწარი განსაზღვრა და გეგმაში გათვალისწინება.

არსებობს მაღალი ალბათობა, რომ 106 შემთხვევაში¹⁹ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სახის სამუშაოს/მომსახურების/საქონლის შესყიდვა, ღირებულებით 425,9 ათასი ლარი, სავარაუდოდ არ წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას და როგორც სისტემური ხარვეზი, განხორციელებულია მონეტარული ზღვრების დარღვევით, რამაც, შესაძლებელია, საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვა გამოიწვია.

მუნიციპალიტეტის მიერ გადაუდებელი აუცილებლობის არასწორ მოტივაციაზე მიუთითებს ისიც, რომ 25 შემთხვევაში²⁰ შესყიდვის პროცედურები დაწყებულია საკრებულოს შესაბამისი განკარგულების მიღების შემდეგ, 15 დღიდან თვეზე მეტი პერიოდის გასვლისას, როცა შესყიდვის ელექტრონული საშუალებების გამოყენებაც მოესწრებოდა. მაგალითად:

- საკრებულოს №223 განკარგულება ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე ხიდის მოაჯირების აღდგენის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

¹⁸საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, „ლ“ ქვეპუნქტი.

¹⁹საფუძველი: საკრებულოს 2012 წლის განკარგულებები №№15,60,68,83,84,89,90,131,132,134,147,150-152,160,168,169,171,180,181,185,195-197,210,212,213,215,218,220,222-224,225,248; 2013 წლის განკარგულებები №№44,75,116,126,151,152,169,191,205,223,270,284,292.

²⁰ 2012 წლის ხელშეკრულებები №№138,322,347-350,357,383,386,387,388,421,426,427,431,440.

2013 წლის ხელშეკრულებები №№162,163,165,166,245-248.

განხორციელებაზე მიღებულია 2012 წლის 24 აგვისტოს, ხოლო №440 ხელშეკრულება სამუშაოს მიწოდებაზე ი/მ გივი შაორშაძესთან გაფორმდა 26 სექტემბერს - ერთი თვის შემდეგ.

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა

მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ, 2012 წლის 1-ლი ივლისის შემდეგ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოებისათვის, არ მოუთხოვიათ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია²¹ და ანაზღაურება მოხდა შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების შესაბამისად.

გამოვლენილი დარღვევის საფუძველზე, აუდიტის პროცესში, აუდიტის ჯგუფის მიერ გამგეობას გაეწია რეკომენდაცია მიმწოდებლებისაგან ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ. მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ინფორმაციით, წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტებისა (ფორმა №2) და გაწეული დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების შედარებით, გამოვლინდა შემდეგი:

- ❖ 2012 წლის 1-ლი ივლისიდან 2013 წლის ჩათვლით, მუნიციპალიტეტში, სამშენებლო სამუშაოების მიწოდების მიზნით (2012 წლის „სოფლის განვითარების პროგრამის“ გარდა²²), 47 მიმწოდებელთან გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის 96 ხელშეკრულება და ანაზღაურებულია 3413,8 ათასი ლარი.
- ❖ ფაქტობრივი დანახარჯების ზემოთ, 13 მიმწოდებლისათვის (20 ხელშეკრულება) დაუსაბუთებლად ანაზღაურებულია 37,3 ათასი ლარი;
- ❖ 4-მა მიმწოდებელმა 4 ხელშეკრულების ფარგლებში საერთოდ არ წარმოადგინა 51,1 ათასი ლარის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

²¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

²² იხ. ქვეთავი: მასშტაბის შეზღუდვა (გვ. 37).

- ❖ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 7 მიმწოდებელთან 21 ხელშეკრულების შესრულებისას ფაქტობრივად ანაზღაურებული 555,7 ათასი ლარის ხარჯვის რეალობა ვერ დასტურდება, რადგან მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებების ხარჯებზე სავარაუდოდ დამატებულია სხვა ხელშეკრულებების ხარჯვის მასალები, რომელთა გამიჯვნაც საფინანსო სამსახურის მიერ ან არ მოხერხდა, ან რამდენიმე ხელშეკრულებაზე წარმოდგენილია საერთო შესყიდვის აქტები.
- ❖ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მონაცემებით, 29 მიმწოდებლისათვის 46 ხელშეკრულების შესრულებისას გადარიცხული თანხა არ აღემატება წარმოდგენილ ფაქტობრივ ხარჯებს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მიდგომა 2012 წლის 1 ივლისის შემდგომ გამარტივებული შესყიდვით სამშენებლო სამუშაოების დაფინანსების პროცესში არაერთგვაროვანია: როგორც წესი, მუნიციპალიტეტი ანგარიშსწორებას აწარმოებდა მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების შესაბამისად. აქტები ძირითადად ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ნაწილის იდენტური იყო და არ ემთხვეოდა ფაქტობრივ ხარჯებს. ამასთან, არის შემთხვევა, როდესაც, სხვა სამუშაოების შეუსრულებლობის ხარჯზე დაშვებულია ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო პარამეტრების ცვლილება და ერთეულის ფასების გაზრდა, რამაც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის სახელშეკრულებო პირობების გაუარესება გამოიწვია²³, კერძოდ:

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 ივლისის №1331 განკარგულების საფუძველზე, შპს „სერვის ავტო 2012“-თან 26 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება №438, ქ. მარნეულის ცენტრალურ მოედანზე მდებარე იუსტიციის სახლის გარშემო ასფალტის საფარის დაგების სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ღირებულებით 56,5 ათასი ლარი.

ანგარიშსწორების პროცესში მუნიციპალიტეტს არ მოუთხოვია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463

²³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 5.

ბრძანებით გათვალისწინებული ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ მიმწოდებლის მიერ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე მეტი მოცულობით მოთხოვნილი და ანაზღაურებული თანხები არ შეესაბამება ფაქტობრივ ხარჯებს:

მიმწოდებელმა მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით შეასრულა სულ 46,7 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო, თუმცა შესრულებული სამუშაოების აქტის რამდენიმე პუნქტში გაზრდილია ერთეულის ფასები. კერძოდ: ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, შრომითი რესურსის - ერთი კაც/საათის ღირებულება იყო 3,5 ლარი (დარიცხვების გარეშე), ხოლო შესრულებული სამუშაოების აქტში მიმწოდებელმა დააფიქსირა 14 ლარი. ანალოგიურად, სატკეპნი საგზაო თვითმავლის ერთი მანქანა/საათის ღირებულება იყო 20 ლარი, ხოლო ფორმა №2-ში დაფიქსირებულია 55 ლარი.

- იუსტიციის სახლის მიმდებარედ განხორციელებულ სამუშაოებზე, ფაქტობრივი დანახარჯების დადგენის გარეშე, დაუსაბუთებლად ანაზღაურებულმა თანხამ, დარიცხვების გათვალისწინებით, სულ 12,1 ათასი ლარი შეადგინა.

აუდიტის მსვლელობისას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესრულებული სამუშაოების ნაწილის ღირებულება მუნიციპალიტეტის მიერ ჯერ კიდევ აუნაზღაურებელი იყო. ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ყველა მიმწოდებელმა არ წარმოადგინა, ხოლო რიგი შემოსული მასალის დაზუსტების საშუალება აუდიტის ჯგუფს არ მიეცა.

ამდენად, აუდიტის ჯგუფი არ ფლობს საკმარის მტკიცებულებებს, განსაზღვროს - რამდენად კანონთან შესაბამისად განხორციელდა სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ღირებულების ანაზღაურება.

საგზაო სამუშაოების შესყიდვა

❖ მარნეულის მუნიციპალიტეტში საგზაო სამუშაოების მიწოდების მიზნით 2012-2013 წლებში ტენდერის საშუალებით განხორციელდა 10 შესყიდვა, საერთო

ღირებულებით 5 940,0 ათასი ლარი. აღნიშნული ტენდერებიდან მხოლოდ ერთი ჩატარდა კონკურენტულ გარემოში, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთადერთი პრეტენდენტი, მათ შორის, 7 ტენდერში - შპს „ქცია“.

არსებობს მაღალი რისკი, რომ გზის რეაბილიტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებზე არაკონკურენტული გარემოს შექმნას ხელს უწყობდა მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კერძოდ:

- *საგზაო სამუშაოების შესყიდვებზე 10-დან 8 შემთხვევაში: ტექნიკური დავალებების მიხედვით, სატენდერო კომისიის მიერ სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრული იყო საკმაოდ მოკლე პერიოდი (ერთი თვე ან ნაკლები). ეს იმ პირობებში, როცა აღნიშნული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 178,0 ათასიდან 970,0 ათას ლარამდე იყო განსაზღვრული.*
- *სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული იყო, რომ სამუშაოების საერთო მოცულობის 80%-ის შესრულებამდე ანგარიშსწორება არ განხორციელდებოდა.*
- *გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე მუნიციპალიტეტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვილი იყო ისეთი ანალოგიური სამუშაოების²⁴ შესრულების გამოცდილება, რომელიც საკმაოდ აღემატებოდა შესასრულებელი სამუშაოების მოცულობას.*
- *სააუდიტო პერიოდში საგზაო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებზე სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი იყო დეტალიზებული²⁵ სავალდებულო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უნდა დაეკმაყოფილებინათ მიმწოდებლებს.*

²⁴ სავარაუდოდ, მუნიციპალიტეტი გულისხმობდა შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნებას.

²⁵ ასფალტობეტონის ქარხანა ავტომატური მართვით არანაკლებ 80ტ/სთ მწარმოებლობით, არანაკლებ 4 ბუნკერისა სხვადასხვა ფრაქციებისთვის, 10 (ათი) ერთეული ავტოვითმცლელი 20-ტონიანი ტვირთამწეობით, 1 (ერთი) ერთეული ექსკავატორი - 1 კუბ./მ კოვზის ტევადობით, 1 (ერთი) ერთეული ექსკავატორი - 0,3 კუბ./მ კოვზის ტევადობით, 1 (ერთი) ერთეული ავტომტვირთავი - 2 კუბ./მ კოვზის ტევადობით. ამასთან, სასურველი იყო ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკა მიმწოდებელს ჰქონოდა საკუთრებაში.

ინფორმაცია საგზაო სამუშაოებზე მარნეულის მუნიციპალიტეტის ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტების შესახებ

(ათასი ლარი)

№	ტენდერის გამოცხადების თარიღი	პრეტენდენტი	სავარაუდო ღირებულება	საბოლოო ფასი	სხვაობა გამარჯვებულთან	გამარჯვებული	ტექნიკურიპირობები				
							შესრულების ვადა	ანალოგ. სამუშაოების ღირებულება	სამუშაოს % ანგარიშს წორებამდე	კონკ. ტექნიკური ბაზა	მ.შ. თვით მცლელი
1	13.02.2012	შპს „ქცია“	860,0	852,2	7,8	შპს „ქცია“	30 დღე	10000,0	80	+	10
2	20.02.2012	შპს „ქცია“	700,0	540,0	160,0	შპს „ქცია“	30 დღე	10000,0	80	+	10
		შპს „ლაგოდეხგზა“		539,9							
3	27.03.2012	შპს „ქცია“	970,0	960,9	9,1	შპს „ქცია“	30 დღე	10000,0	80	+	10
4	26.07.2012	შპს „ამირანი“	600,0	593,4	6,6	შპს „ამირანი“	23 დღე	10000,0	80	+	10
5	28.01.2013	შპს „ქცია“	178,0	174,7	3,3	შპს „ქცია“	20 დღე	3000,0	80	+	10
6	15.03.2013	შპს „ქცია“	330,0	326,6	3,4	შპს „ქცია“	50 დღე	3000,0	80	+	10
7	17.05.2013	შპს „ქცია“	1425,0	1397,5	27,5	შპს „ქცია“	60 დღე	7000,0	80	+	10
8	26.07.2013	შპს „ქცია“	224,0	221,4	2,6	შპს „ქცია“	30 დღე	7000,0	80	+	7
9	03.09.2013	შპს „ქცია“	353,0	349,0	4,0	შპს „ქცია“	25 დღე	2000,0	30	-	-
10	01.11.2013	შპს „საექსპლუატაციო საწარმო“	300,0	247,8	52,2	შპს „საექსპლუატაციო საწარმო“	30 დღე	1000,0	-	-	-

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, არსებობს მაღალი რისკი, რომ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებზე შექმნილი იყო ისეთი გარემო, რომელიც შპს „ქციას“ სხვა მიმწოდებელთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა. სააუდიტო პერიოდში ამ საწარმოს გამარჯვებით დასრულებული 7 ტენდერის ჯამური სავარაუდო ღირებულება - 4340,0 ათასი ლარი, შემცირდა მხოლოდ 57,8 ათასი ლარით, ანუ 1,3 %-ით.

ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამგვარად დადგენასთან ერთად, არსებობს ალბათობა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების პირობებს ცვლიდა ან არღვევდა შპს „ქციას“ სასარგებლოდ:

- 2012-2013 წლებში შპს „ქციასთან“ გაფორმებული 4 სხვადასხვა ხელშეკრულების²⁶ ცვლილების შესაბამისად, სამუშაოების მიწოდების ვადები

²⁶ ხელშეკრულებები: №119 - გაფორმების თარიღი: 16.03.2012; №197- გაფორმების თარიღი: 30.04.2012; №142- გაფორმების თარიღი: 18.04.2013; №479 - გაფორმების თარიღი: 28.10.2013.

გახანგრძლივდა 106-დან 207 დღემდე. ვადების გადაწევის მიზეზად დასახელებულია პარალელურ რეჟიმში სხვა სამუშაოების წარმოება²⁷, რაც მუნიციპალიტეტისათვის ტენდერის გამოცხადებამდე უნდა ყოფილიყო ცნობილი და ტექნიკური დავალებით დადგენილი სამუშაოების მიწოდების ვადაც შესაბამისად განსაზღვრულიყო. 2012 წელს გაფორმებული №119 ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში, მიღება-ჩაბარების აქტი შპს „ქციას“ მიერ საბოლოო ანგარიშსწორების მოთხოვნიდან 59 დღის შემდეგ გაფორმდა. არსებობს რისკი, რომ შესაძლებელია აღნიშნული დრო მიმწოდებლის მიერ, შემსყიდველთან შეთანხმებით, სამუშაოების დასასრულებლად იყო გამოყენებული.

- სააუდიტო პერიოდში შპს „ქციასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებში სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ანგარიშსწორების პირობები უცვლელად იყო ასახული, თუმცა 4 სხვადასხვა ხელშეკრულების²⁸ შესრულებისას, მუნიციპალიტეტის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდა სამუშაოთა 80%-ის შესრულებამდე, რითაც ხელშეკრულების პირობები მიმწოდებლის სასარგებლოდ დაირღვა.

2012 წლის 26 ივლისს მუნიციპალიტეტმა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოაცხადა ტენდერი, სავარაუდო ღირებულებით 600 ათასი ლარი. ტექნიკური დავალების მიხედვით, ანგარიშსწორების პირობებში ჩადებული იყო ზემოაღნიშნული შეზღუდვა. ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, შპს „ამირანი“, რომელიც გამარჯვებულად გამოცხადდა, თუმცა მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და შესაბამისად, შესრულების პროცესში ტექნიკური დავალებით განსაზღვრული შეზღუდვა არ იქნა გათვალისწინებული.

- სატენდერო კომისიამ ვერ წარმოადგინა დასაბუთება, თუ რას ეფუძნებოდა მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილების თანხობრივი გაანგარიშება. მაგალითად, 2012 წლის 26 ივლისს გამოცხადებულ ტენდერზე²⁹, სავარაუდო ღირებულებით 600 ათასი ლარი, ანალოგიური სამუშაოების ღირებულება განსაზღვრული იყო 10 მილიონი

²⁷საკანალიზაციო და წყლის მიწების რეაბილიტაცია.

²⁸ ხელშეკრულებები: №119- გაფორმების თარიღი: 16.03.2012; №139 - გაფორმების თარიღი: 27.03.2012; №197- გაფორმების თარიღი: 30.04.2012; №251- გაფორმების თარიღი: 14.06.2013.

²⁹ SPA120020583.

ლარით, ხოლო 2013 წლის 17 მაისს გამოცხადებულ ტენდერზე³⁰, ღირებულებით 1425 ათასი ლარი, 7 მილიონი ლარის ოდენობით.

- მუნიციპალიტეტის მიერ საგზაო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერების ანალიზით, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ შესაძლო პრეტენდენტებს შორის, შპს „ქციას“ გარდა, არსებობდნენ მიმწოდებლები, რომლებიც მოთხოვნილი სავალდებულო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაკმაყოფილებას შესძლებდნენ. მაგალითად: 2012 წლის 20 თებერვალს ჩატარებულ ტენდერზე სატენდერო კომისიამ დისკვალიფიკაცია მისცა შპს „ლაგოდებზას“, მათ შორის, ტექნიკური ბაზის არქონის გამო. ასევე, 2012 წლის 21 აგვისტოს გამოცხადებულ ტენდერზე გაიმარჯვა შპს „ამირანმა“, რომელმაც მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კომისიისთვის შპს „ქციასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით დაასაბუთა.

6 ტენდერის შემთხვევაში, სატენდერო კომისიის მიერ შპს „ქცია“ გამარჯვებულად გამოცხადდა მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა კომისიის მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მოთხოვნილი 10 ერთეული 20-ტონიანი თვითმცლელი.³¹ ამ შემთხვევაში შპს „ქციას“ დოკუმენტაცია ექვემდებარებოდა დაზუსტებას ან შემდგომ დისკვალიფიკაციას, რაც სატენდერო კომისიას არ გაუკეთებია.

სატენდერო კომისიამ ვერ წარმოადგინა დასაბუთებული მოსაზრებები იმის შესახებ, რომ, როგორც 1425 ათასი ლარის (SPA130010881), ასევე 178 ათასი ლარის (SPA130002346) ღირებულების საგზაო სამუშაოების შესასრულებლად, რატომ იყო სავალდებულო პრეტენდენტებისათვის ასფალტბეტონის ქარხანა ავტომატური მართვით, არანაკლებ 80 ტონა/სთ წარმადობით, არანაკლებ 4 ბუნკერისა, სხვადასხვა ფრაქციებისათვის.

- საგზაო სამუშაოების შესყიდვისას სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტებისთვის წარდგენილი მოთხოვნების გამარტივების შემდეგ (გაიზარდა

³⁰ SPA130010881.

³¹ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციით, ჰქონდა სულ 9 ერთეული: კამაზ-6520, გამოშვების წელი-2005, 7 ერთეული; კამაზ-6520, გამოშვების წელი-2006, 2 ერთეული;

სამუშაოების მიწოდების ვადა, შემცირდა ანალოგიური სამუშაოების სავალდებულო გამოცდილება, აღარ მოუთხოვიათ კონკრეტული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა ანგარიშსწორების პირობები), საგზაო სამუშაოების შესყიდვაზე შედგა 4 ტენდერი ჯამური სავარაუდო ღირებულებით - 2 275,0 ათასი ლარი და სატენდერო ღირებულება შემცირდა 408 ათასი ლარით, ანუ 18%-ით.

❖ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2012 წლის 10 თებერვალს ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოაცხადა ტენდერი, სავარაუდო ღირებულებით 143,0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ამირანმა“, რომელმაც სატენდერო წინადადება 139,7 ათას ლარზე წარმოადგინა. აღსანიშნავია, რომ სისტემაში ატვირთულ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტში პრეტენდენტმა შეცვალა შემსყიდველის მიერ დადგენილი პარამეტრები, კერძოდ, შეამცირა ძირითად სამუშაოთა მოცულობები და დაამატა სხვა დასახელებები. მიუხედავად იმისა, რომ შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, შპს-ს დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა უნდა წარმოედგინა, პრეტენდენტმა სისტემაში იგივე დოკუმენტაცია ატვირთა და სატენდერო კომისიამ იგი გამარჯვებულად გამოაცხადა.

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი შემსყიდველის სატენდერო დოკუმენტაციაში ასახული მოცულობების შესაბამისად, მის მიერ შემოთავაზებული ერთეულის ფასებით წარმოადგენდა გაანგარიშებას, სატენდერო წინადადება სავარაუდო ღირებულებას გადააჭარბებდა, განისაზღვრებოდა 156,5 ათასი ლარით და ვერ დააკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, ძირითადი სამუშაოების მოცულობების შემცირებითა და ერთეულის ღირებულების გაზრდით, შემსყიდველისათვის სატენდერო პირობები 16,8 ათასი ლარით გაუარესდა. ორივე შემთხვევაში, სატენდერო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო³², პრეტენდენტი ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას, რაც კომისიამ არ განახორციელა.

³² „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, მუხლი 12, პუნქტი 4.

დაუსაბუთებელი ხარჯები

1. დაუსაბუთებლად გადახდილი დღგ

ა) მუნიციპალიტეტმა ქალაქის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 2012-2013 წლებში ელექტრონული ტენდერები გამოაცხადა დღგ-ის ჩათვლით, თუმცა საგადასახადო კოდექსის თანახმად³³, ადგილობრივი თვითმმართველობისათვის დასახლებულ ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების გაწევა გათავისუფლებულია დღგ-ისგან, ჩათვლის უფლების გარეშე. ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციას შპს „კომუნალური მეურნეობა“³⁴ მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 წლებში დღგ-ის სახით აუნაზღაურდა 108,5 ათასი ლარი³⁵.

ბ) მოქმედი კანონმდებლობით³⁶, მსუბუქი ავტომობილებისა და დანარჩენი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მიწოდება, იმპორტი ან დროებითი შემოტანა, განკუთვნილი ძირითადად ადამიანების გადასაცემად, სატვირთო-სამგზავრო ავტომობილ-ფურგონების ჩათვლით, განთავისუფლებულია დღგ-ისგან, ჩათვლის უფლების გარეშე. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 12 იანვარს ელექტრონული ტენდერი³⁷ 18 ერთეული მსუბუქი, მაღალი გამავლობის ტრანსპორტის შესასყიდად გამოცხადდა დღგ-ის გათვალისწინებით, სავარაუდო ღირებულებით 170,0 ათასი ლარი. ხელშეკრულების³⁸ დაზუსტებულმა ფასმა 169,9 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც გადახდილია დღგ - 25,9 ათასი ლარის ოდენობით.

2. გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურება

აუდირებულ პერიოდში მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა მიმწოდებლებთან გაფორმებული რიგი ხელშეკრულებები, ხარჯთაღრიცხვების შემადგენელი ნაწილის სახით, შეიცავდა გაუთვალისწინებელ ხარჯებს. 2012 წლის 8

³³ საგადასახადო კოდექსი, მუხლი 168, პუნქტი 2, „შ“ ქვეპუნქტი.

³⁴ დამფუძნებელი: მარნეულის მუნიციპალიტეტი (100% -ანი წილით).

³⁵ 2012 წელი -62,8 ათასი ლარი; 2013 წელი -45,7 ათასი ლარი.

³⁶ საგადასახადო კოდექსი, მუხლი 168, პუნქტი 1, „ნ“ ქვეპუნქტი.

³⁷ SPA120001287.

³⁸ ხელშეკრულება №50, 07.02.2012.

აგვისტოს №369 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ამირანმა“ განახორციელა 884,97 ათასი ლარის საგზაო სამუშაოები, რომელიც მოიცავდა მიმწოდებლის მიერ დარიცხულ 3%-იან გაუთვალისწინებელ ხარჯს - 25,7 ათასი ლარის ოდენობით, დღგ-ის ჩათვლით. აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტმა სრულად აანაზღაურა, მაგრამ ვინაიდან მიმწოდებელმა გაუთვალისწინებელი ხარჯის დადასტურება ვერ მოახერხა, დაუდასტურებელი ხარჯის უკან დაბრუნება მოითხოვა. მოთხოვნის საფუძველზე, შემსრულებელმა დააბრუნა 22,4 ათასი ლარი, მასზე დარიცხული დღგ-ის - 3,3 ათასი ლარის გარეშე, რაც მუნიციპალიტეტის მიერ №369 ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ამირანისათვის“ დაუსაბუთებლად გადახდილ თანხას წარმოადგენს.

6 სხვა მიმწოდებელთან მიმართებაში, მუნიციპალიტეტმა არ მოითხოვა გაუთვალისწინებელ სამუშაოთა იდენტიფიცირება და სამუშაოს ფაქტობრივი შესრულების კონტროლის გარეშე, სრულად აანაზღაურა მოთხოვნილი თანხა 7,5 ათასი ლარის ოდენობით³⁹, რაც მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული დაუსაბუთებელი ხარჯია.

3. საკრებულოს წევრთა ხარჯების ანაზღაურება

მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2013 წლის 21 იანვარს მიიღო დადგენილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“⁴⁰. დადგენილების საფუძველზე, საკრებულოს წევრებს, რომელთაც არ მიეცემათ თანამდებობრივი სარგო, საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისათვის, განესაზღვრათ ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური ზღვრული მოცულობა, 500 ლარის ოდენობით.

დადგენილების ამოქმედებიდან, 2013 წლის 1 თებერვლიდან, საკრებულოს წევრებზე თანხები ყოველთვიურად მაქსიმალური ოდენობით გაიცემოდა. სულ სააუდიტო პერიოდში ამ მიზნით გაცემულია 48,9 ათასი ლარი, რომელიც ჩამოწერილია

³⁹ 2012 წლის ხელშეკრულებები: №№397,410,412,438; 2013 წლის ხელშეკრულებები: №№89, 394.

⁴⁰ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (მუხლი 32⁶, პუნქტი 6) საფუძველზე.

ხარჯებში ისე, რომ თანხის მიმღებების მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა 2013 წლის 11 თებერვალს წერილობით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს და გამგებელს, რომ საკრებულოს წევრებზე თანხების არსებული ფორმით გაცემა ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას და მოითხოვა აღნიშნულ საკითხზე რეაგირება. მიუხედავად ამისა, საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემის წესი არ შეცვლილა.

უხარისხოდ შესრულებული სამუშაო

მარნეულის მინიციპალიტეტმა 2012 წლის 26 ივლისს ტენდერი გამოაცხადა სოფ. წერეთლის, სოფ. საიმერლოს და ქ. მარნეულში კორპუსების სახურავების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 114,0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. ვაჭრობის შედეგად შემსყიდველს ყველაზე დაბალი - 57,7 ათასი ლარი შესთავაზა შპს „სტილექსმა“, რითაც სავარაუდო ფასი 49%-ით გააიაფა. სამუშაოს ღირებულების შემცირების მიზნით, მიმწოდებელმა დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში 1კუბ.მ ხის მასალა ორი სხვადასხვა შენობისთვის საბაზროსთან შედარებით დაბალ ფასად - 40 და 50 ლარად შეაფასა.

ხელშეკრულების⁴¹ პირობების თანახმად, სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო 48 კუბ.მ ხის მასალა, თუმცა შესრულებული სამუშაოს აქტების მიხედვით, მიმწოდებელმა მხოლოდ 7 კუბ.მ მასალა შეისყიდა.

არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველთან შეთანხმებით, შემოთავაზებული დემპინგური ფასის გამო, არ შეცვალა სახურავების ხის მასალა ხარჯთაღრიცხვით დადგენილი სრული მოცულობით, რითაც გაუარესდა

⁴¹ ხელშეკრულება №412. 05.09.2012

შემსყიდველი ორგანიზაციის პირობები და დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები⁴².

მიმწოდებელმა, გარდა ამისა, საერთოდ არ შეასრულა სამუშაოების ნაწილი, კერძოდ, არ მოაწყო რკინა-ბეტონის სარტყელი.

მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ექსპერტიზის ჩატარება, რათა შეფასდეს სამუშაოთა შემცირების მიზანშეწონილობა, შენობის მდგრადობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიხედვით.

მიუღებელი საბიუჯეტო შემოსავლები

1. საბანკო ხელშეკრულება

საბანკო ოპერაციების წარმოება მარნეულის მუნიციპალიტეტში განსაზღვრულია სს „ლიბერთი ბანკთან“ 2010 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტს ბანკის ანგარიშებზე განთავსებულ თანხებზე ერიცხებოდა სარგებელი: 2012 წელს 17%-ის, ხოლო 2013 წელს - 15%-ის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლის სახით 2012 წელს ჩაირიცხა 168,4 ათასი, ხოლო 2013 წელს - 412,1 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 31 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, 2012 წლის 1 თებერვალს შეთანხმება დაიდო ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებს, თვითმმართველ ქალაქ რუსთავსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბანკი მუნიციპალიტეტების კუთვნილ 2012 წლის სარგებლის ნაწილს, მოთხოვნის შემთხვევაში, წინსწრებით გადარიცხავდა ქ. რუსთავის მერიის მიერ მითითებულ ანგარიშზე და თანხა დაიხარჯებოდა კლიენტების მიერ განსაზღვრული სხვადასხვა სახის ღონისძიებების დასაფინანსებლად. შეთანხმება 2012 წლის 14 დეკემბრამდე მოქმედებდა. ამ პერიოდის განმავლობაში ქ. რუსთავის მერიას გადაერიცხა მარნეულის მუნიციპალიტეტის კუთვნილი სარგებელი 154,8 ათასი ლარის

⁴² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 5.

ოდენობით ისე, რომ აღნიშნული თანხა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებში არ ასახულა.

შეთანხმების საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის კუთვნილი თანხების ბიუჯეტში ასახვის გარეშე რუსთავის მერიისათვის გადარიცხვა ეწინააღმდეგება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ შემდეგ პრინციპებს:

- ყოვლისმომცველობა - რომლის თანახმადაც ყველა შემოსულობა სრულყოფილად უნდა აისახოს შესაბამის ბიუჯეტში.
- უნივერსალობა - რომლის თანახმადაც არც ერთი შემოსულობა არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელების დასაფინანსებლად.

ამასთანავე, მარნეულის მუნიციპალიტეტს არ მიუღია მონაწილეობა გადარიცხული თანხებით დასაფინანსებელი ღონისძიებების განსაზღვრაში და არ ფლობს ინფორმაციას განხორციელებული პროექტების შესახებ.

აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შედიოდა გადარიცხული თანხებით დაფინანსებული ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ინტერესებში და თვლის, რომ სავარაუდოდ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა გადაამეტეს თავიანთ უფლებამოსილებებს, ხოლო საბანკო ანგარიშებიდან კუთვნილი 154,8 ათასი ლარი მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს მიუღებელ შემოსავლებს.

2. მიწოდების ვადების ცვლილებები

მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 წლებში განხორციელებულ შესყიდვებში ფიქსირდება შემსრულებლის მოთხოვნის საფუძველზე მიწოდების ვადების გახანგრძლივების შემთხვევები. არსებობს მაღალი რისკი, რომ აქედან 5 ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში შესრულების ვადები უსაფუძვლოდაა გადაწეული⁴³. რიგ შემთხვევებში ხელშეკრულების ცვლილება განხორციელებულია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მასალების დეფიციტით, კომპანიისაგან

⁴³ 2012 წელი: ხელშეკრულება №93; 2013 წელი: ხელშეკრულებები №№340,346,317,234.

დაუსაბუთებელი დამოუკიდებელი მიზეზებით ან ხარჯთაღრიცხვების კორექტირებით, თუმცა ხარჯთაღრიცხვებში სამუშაოების დასახელებები და მოცულობები არ არის არსებითად შეცვლილი.

მუნიციპალიტეტი, ხელშეკრულების შესრულების ვადების არგადაწევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით მიიღებდა დამატებით შემოსავალს 5,8 ათასი ლარის ოდენობით.

3. დასუფთავების მოსაკრებელი

საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის №2/3 დადგენილებით, მარნეულის მუნიციპალიტეტში დაწესებულია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი⁴⁴, რომლის ამოღებასაც 2012-2013 წლებში ახორციელებდა შპს „კომუნალური მეურნეობა“.⁴⁵ მიმწოდებელმა გაიმარჯვა 2012-2013 წლებში დასუფთავების მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერებში, მათ შორის, დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ვალდებულებით.

სულ, აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის, შპს „კომუნალურმა მეურნეობამ“ მუნიციპალიტეტისაგან ანაზღაურების სახით 2012 წელს მიიღო 24 ათასი, ხოლო 2013 წელს - 26,4 ათასი ლარი. ამოღების მაჩვენებელმა შესაბამისად 54,1 და 30,7 ათასი ლარი შეადგინა.

(ათასი ლარი)

საანგარიშო პერიოდი	გადასახდელი თანხა	ფაქტობრივად ამოღებულია	მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი თანხა	ინკასატორების წლიური ხელფასი	დავალიანება წლის ბოლოსათვის
2012 წელი	365,0	54,1	24,0	15,1	310,9
2013 წელი	124,7	30,7	26,4	17,8	94,0
ჯამი:	489,7	84,8	50,4	32,9	404,9

⁴⁴ფიზიკური პირებისათვის - ერთ სულ მოსახლეზე თვეში 1 ლარი (2013 წლის 6 თებერვლიდან - 0,2 ლარი); იურიდიული პირებისათვის - ერთ კუბ.მ ნარჩენზე 20 ლარი; სასურსათო და სამრეწველო მაღაზიებისათვის - სამუშაო ფართობის ყოველ კვ. მ-ზე - 0,5 ლარი.

⁴⁵100%-იანი წილის მფლობელი მარნეულის მუნიციპალიტეტი.

დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების დინამიკა დადმავალია და ამოსაღები თანხის 10,3%-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტი ანგარიშსწორებას აწარმოებს არაეფექტიანად - ყოველთვიურად, ფიქსირებული თანხით და არა ამოღებული მოსაკრებლის პროპორციულად; არც შპს „კომუნალურ მეურნეობას“, არც მუნიციპალიტეტის გამგეობას არ გააჩნიათ სამოქმედო გეგმა ამოღების მაჩვენებლის გაზრდის მიზნით; დაუზუსტებელია მოსაკრებლის გადამხდელთა სახელობითი სიები, კომუნალური სამსახური არ ფლობს ბერკეტებს მოსაკრებლის მობილიზების ადმინისტრირების კუთხით.

სატენდერო დოკუმენტაციის და შესაბამისად, ხელშეკრულების პირობებით, მიმწოდებელს არ აქვს მოტივაცია გაზარდოს მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი. სატენდერო პირობებით, სასურველი იქნებოდა მოსაკრებლის ამოღების მინიმალური პროცენტის დაწესება, რომელზედაც მიბმული იქნებოდა ანგარიშსწორების მოცულობაც.

2014 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის დასუფთავების მოსაკრებლის სახით მიუღებელი შემოსავალი 404,9 ათას ლარს შეადგენს.

4. მიუღებელი იჯარის ქირა

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემული იყო 9 ობიექტი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები), მათ შორის:

- ფიზიკურ პირებსა და კერძო სამართლის სუბიექტებზე, პირდაპირი განკარგვის გზით - 8 ობიექტი (2 ხელშეკრულება გაუქმებულია).

- ფიზიკურ პირზე, აუქციონის ფორმით - 1 ობიექტი.

2012-2013 წლებში, იჯარით გაცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან მიუღებელი შემოსავლები (იჯარის ქირა, საურავი) 18,6 ათას ლარს შეადგენს. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები კუთვნილი თანხების ამოსაღებად გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მონაცემების შესაბამისად⁴⁶, არ ფლობს სრულ ინფორმაციას წინა წლებში იჯარით გაცემული მიწებისა⁴⁷ და აქედან მისაღები შემოსავლების თაობაზე. საკითხის შესწავლა სცილდება აუდიტის მასშტაბს და შემოსავლების აღურიცხაობისა და მიუღებლობის მაღალი რისკებიდან გამომდინარე, საჭიროებს დამატებით კვლევას.

საკადრო საკითხები

- 2012 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ორგანიზაციებში დასაქმებული იყო 701, აქედან, წარმომადგებლობით და აღმასრულებელ ორგანოებში - 197 მოსამსახურე. 2013 წელს აღრიცხულია, შესაბამისად, 836 და 258 დასაქმებული. აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო მტკიცებულებების მოპოვება 2013 წლისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ახალი დაწესებულების შექმნის, დამატებით ადგილობრივი სამსახურების ჩამოყალიბების ან ფუნქციების გაზრდის, ტერიტორიული ერთეულების ფორმირების სახით, რაც დაასაბუთებდა საშტატო რიცხოვნობის 135, მათ შორის, წარმომადგებლობით და აღმასრულებელ ორგანოებში - 61 ერთეულით გაზრდის აუცილებლობას.

- მარნეულის მუნიციპალიტეტში 2012 წელს, ტექნიკური პერსონალის გარდა, შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდა სულ 11 შტატგარეშე მომსამსახურესთან,⁴⁸ რომელთა შრომის წლიურმა ანაზღაურებამ 51,3 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს 11 მოსამსახურეზე⁴⁹ გაცემულია 43,2 ათასი ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁵⁰, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მუნიციპალიტეტის მიერ

⁴⁶ ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მოიჯარეების მიერ გადაუხდელი იჯარისა და საურავის შესახებ, 2012- 2013 წლებში

⁴⁷ სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები.

⁴⁸ საკრებულოში - 3, გამგეობაში - 8.

⁴⁹ საკრებულოში - 2, გამგეობაში - 9.

⁵⁰ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 8.

წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ დავალებას და ვადას სამუშაოს ან მომსახურების მიწოდების კუთხით და განსაზღვრულ პერიოდში შრომით ურთიერთობებს ფაქტობრივად მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად აწესრიგებს, საჯარო მოხელეების - საკრებულოს ფრაქციისა და გამგეობის სამსახურების სპეციალისტების მოვალეობის განსახორციელებლად.

- 2012 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტში პრემიის სახით გაცემულია 508,0 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 752,6 ათასი ლარი, რაც აუდიტირებულ პერიოდში შრომის ანაზღაურების მუხლით გაცემული თანხის შესაბამისად 40,6% და 45,1 %-ს შეადგენს. პრემირების წესი მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული არ არის. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებსა და თანამშრომლებზე პრემიები გაცემულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებებით, რომელიც არ შეიცავს მოტივაციას პრემირების შესახებ და მიღებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთა წახალისებას ითვალისწინებს.

2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეებზე პრემიის სახით გაცემულია 25,0 ათასი ლარი, თუმცა ამ კატეგორიის თანამშრომელთა ანაზღაურების საბიუჯეტო მუხლი პრემირებას არ შეიცავს. ასევე არ არის გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის მხრიდან დამატებითი დაფინანსების გაცემა მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

სატრანსპორტო საშუალებები და საწვავის ხარჯი

- საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს №364 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მიხედვით⁵¹, მსუბუქი ავტომანქანების ზღვრული ოდენობა მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის 2012 წელს, პერსონალური ავტომანქანების გარდა, განისაზღვრებოდა 4, ხოლო 2013 წლისათვის - 5 ერთეულით. მუნიციპალიტეტს

⁵¹ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს №364 ბრძანებულება.

სამსახურებრივი მიმოსვლისათვის მსუბუქი ავტომანქანები ემსახურებოდა კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმატივის ზემოთ, კერძოდ:

მარნეულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების განკარგვაში სამსახურებრივი მიმოსვლისათვის 2012-2013 წლებში იყო 22 ერთეული ავტომანქანა, აქედან 18 ერთეული - ჯიპის ტიპის ავტომანქანა 2012 წელს შეიძინეს ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულებისთვის.

- 2012-2013 წლებში მარნეულის მუნიციპალიტეტში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირებზე გაცემულია სულ 162,9 ათასი ლიტრი საწვავი⁵². საწვავი გაცემულია გამგეობის იმ თანამდებობის პირებზეც, რომლებიც არ განკარგავდნენ სამსახურებრივი ფუნქციების განსახორციელებლად გამოყოფილ ავტომანქანებს. ასევე, საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე, არასამსახურებრივ ავტომანქანებზე საწვავი გადაეცემოდა საკრებულოს წევრებსაც. აუდირებულ პერიოდში არასამსახურებრივი ავტომანქანებისათვის სულ დახარჯულია 71,6 ათასი ლიტრი ბენზინი და 3,7 ათასი ლიტრი დიზელის საწვავი, ღირებულებით, დაახლოებით 156 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ იმ თანამდებობის პირებზე, რომელთაც მიღებული აქვთ საწვავი არასამსახურებრივი ავტომანქანების საჭიროებისათვის, საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, არ მომხდარა ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება. დასაბეგრი შემოსავლის ოდენობამ 2012 წლის 1 იანვრიდან - 1 ივლისამდე⁵³, სულ დაახლოებით 32 ათასი ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაწესებულია საწვავის ხარჯვის ყოველთვიური ლიმიტები. მიუხედავად ამისა, ლიმიტს ზემოთ გამგეობის მიერ 2012 წელს დახარჯულია 9,1 ათასი ლიტრი საწვავი.

⁵²2012 წელი - 71,5 ათასი ლიტრი, 2013 წელი - 91,4 ათასი ლიტრი.

⁵³საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლება: საგადასახადო კოდექსი, მუხლი 82, პუნქტი 1, „ჟ“ ქვეპუნქტი.

ბიუჯეტიდან გაწეული არაეკონომიური ხარჯი

2013 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელა სარწყავი არხების გაწმენდის სამუშაოები, საერთო ღირებულებით 68,0 ათასი ლარი. ამ მიზნით, ლანგუზ და ზვიად ნადირაძეებთან⁵⁴ გაფორმებულია ხელშეკრულებები⁵⁵ ტექნიკის ოპერატორის მომსახურების შესყიდვაზე, რომლის თანახმადაც ისინი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკის გამოყენებითა და გადაცემული საწვავით უზრუნველყოფდნენ არხების გაწმენდას და ანაზღაურების სახით იღებდნენ 0,5 ლარს ერთ გრძივ მეტრზე.

ზვიად ნადირაძე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „კომუნალური სამსახურის“ ექსკავატორის მძღოლია⁵⁶. 2013 წლის განმავლობაში, როგორც ფიზიკურ პირთან, მასთან გაფორმებულია 7 ხელშეკრულება და ანაზღაურებულია 12,0 ათასი ლარი.

დაახლოებით სამთვიან მონაკვეთში ლანგუზ და ზვიად ნადირაძეებს ხელშეკრულებით შესრულებულ სამუშაოებში აუნაზღაურდათ 17 ათას ლარამდე თანხა, ანუ თვეში თითოეულს - 2,8 ათას ლარზე მეტი, რაც არაგონივრულად მაღალი ფასია.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ურთიერთობა

მუნიციპალიტეტის ცალკეული წერილობითი დოკუმენტის ანალიზითა და აუდიტის იბიექტის თანამშრომლების ყოველდღიურ საქმიანობაზე დაკვირვებით, არსებობს დიდი ალბათობა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში საკრებულოს მხრიდან ხორციელდება გამგეობისა და აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირების ფუნქციების, საქმიანობისა და პასუხისმგებლობების გადაფარვა-დუბლირება, კერძოდ:

- ✓ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან თანხებს

⁵⁴ რეგისტრირებული არიან ერთსა და იმავე მისამართზე, მამა-შვილი.

⁵⁵ 14 ხელშეკრულება სხვადასხვა ღირებულებებით.

⁵⁶ ზ. ნადირაძის ხელფასი 360 ლარს შეადგენს და 2013 წლის განმავლობაში ყოველთვიურად აქვს მიღებული.

ქალაქის მერის ან გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საფინანსო ორგანო.⁵⁷ მარნეულის მუნიციპალიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი ხარჯების გასაწევად მუნიციპალიტეტის გამგებელი ძირითადად საკრებულოს მიმართავს, რომელიც გამოსცემს განკარგულებას გამგებლისადმი დავალების სახით, სარეზერვო ფონდიდან საჭირო თანხების გამოყოფის შესახებ. მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბრძანების სახით აკონკრეტებს და გამოყოფს თანხას, შესაბამის ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებთან ერთად.

სარეზერვო ფონდის ამგვარი განკარგვის წესი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ხელს უშლის არსებული პრობლემების ოპერატიულ გადაწყვეტას.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ 9 იურიდიულ პირს უშუალოდ, გამგეობის გარეშე, ძირითადად მართავს წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის კომისიების ფუნქციებშიც, კანონმდებლობის შესაბამისად⁵⁸, არა აღმასრულებელი საქმიანობა, არამედ გამგეობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების კონტროლი შედის.

✓ ადგილობრივი ქონების განკარგვის საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული კომისია, რაც აღმასრულებელი ორგანოს - გამგეობის უფლებამოსილებაა.

✓ მიუხედავად იმისა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად⁵⁹, გამგეობის სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი სფეროების მიხედვით აღასრულებენ საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებებს და გამგებლის დავალებებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულები ხშირად საქმიანობენ საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესაბამისად, რომელთა შესახებაც გამგეობამ ზოგჯერ არაფერი იცის, როგორც დავალების შინაარსის, ასევე შესრულების მხრივ.

⁵⁷ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, მუხლი 67, პუნქტი 1-2.

⁵⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 28, პუნქტი 1.

⁵⁹ მუხლი 38, პუნქტი 5.

✓ მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის პარალელურად, საკრებულოს კანცელარიაში შესულ მოქალაქეთა განცხადებებს შეისწავლის საკრებულოს მიერ შექმნილი სოციალურ საკითხთა კომისია, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულებით, უფლება აქვს თანხები განსაკუთრებული შემთხვევებისას განკარგოს.

2012-2013 წლებში ავადმყოფთა, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის საბიუჯეტო მუხლებიდან გახარჯულია სულ 1053,3 ათასი ლარი,⁶⁰ აქედან გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ - 194,3 ათასი ლარი, ხოლო საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ - 659,0 ათასი ლარი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საკრებულოს კომისიები იქმნება საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, გამგეობის (მერიის) და მისი სტრუქტურული ერთეულების კონტროლის მიზნით.⁶¹ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებაც, ამ ნაწილში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ამდენად, კონკრეტული სოციალური პროგრამის უშუალო განხორციელება სცილდება საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის უფლებამოსილებას.

2. პირგასამტეხლოს გადახდა

2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტმა, საერთო რაოდენობით 22 ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სხვადასხვა მიმწოდებლებს დააკისრა პირგასამტეხლოს გადახდა სამუშაოების დაგვიანებით შესრულების გამო, ჯამური ღირებულებით 5,7 ათასი ლარი. პროცესი სისტემური ხარვეზებით ხასიათდება. კერძოდ:

საჯარიმო თანხას მიმწოდებელი იხდის არა შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის

⁶⁰2012 წელი - 510,1 ათასი ლარი; 2013 წელი - 543,2 ათასი ლარი.

⁶¹ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 28, პუნქტი 1.

გზით, არამედ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ ჯარიმის ოდენობა საბოლოო ანგარიშსწორებისას აკლდება გადასარიცხ თანხას. პირგასამტეხლო არ აღირიცხება შემოსავლებში. შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხარჯებსა და არაფინანსური აქტივების ზრდაში არასრულად, გადარიცხული თანხის ოდენობითაა ნაჩვენები, რითაც საჯარიმო თანხები არ აისახა შემოსავლების შესაბამის ანგარიშსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრულ შემოსავლების მუხლში.⁶² ასევე, დაირღვა საბიუჯეტო სისტემის უნივერსალობის, ყოვლისმომცველობისა და კონსოლიდირების პრინციპები⁶³.

3. სატენდერო კომისიის საქმიანობის ხარვეზები

➤ მგზავრების გადაყვანის 2012-2013 წლების მომსახურებისათვის, მარნეულის მინიციპალიტეტმა 4-ჯერ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებით, პრეტენდენტს საკუთრებაში უნდა ჰქონოდა მინიმუმ 5 ერთეული სატრანსპორტო საშუალება 43 მგზავრზე, 22 დასაჯდომი ადგილით. მიუხედავად ამ მოთხოვნისა, სატენდერო კომისიამ 2012 წლის 10 დეკემბერს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში⁶⁴ გამარჯვებულად გამოავლინა შპს „ექსპრეს-ტურისტი“, რომელსაც სატრანსპორტო საშუალებები საკუთრებაში არ გააჩნდა, რაც დასტურდება მის მიერვე შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ქირავნობის ხელშეკრულებებით. კომისიის მიერ არ შესრულდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მოთხოვნები „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, რაც ანალოგიურ შემთხვევაში პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ითვალისწინებს.

➤ 2012-2013 წლებში მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ტენდერების შესწავლისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ტენდერში, რომლის

⁶²საქართველოს ფინანსთა მინისტრის № 1321 ბრძანება, მუხლი 47, პუნქტი 10.

⁶³საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 4, პუნქტი 1.

⁶⁴ SPA120027570.

ღირებულებაც დღგ-ის ჩათვლით იყო გამოცხადებული, პრეტენდენტებმა დღგ-ის მითითების გარეშე გაიმარჯვეს. აღნიშნულ შესყიდვებზე მუნიციპალიტეტმა გააფორმა 29 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით - 557,5 ათასი ლარი. შედეგად, მიმწოდებლებს საქონელსა და შესრულებულ სამუშაოებში 85,0 ათასი ლარი დღგ-ის სახით აუნაზღაურდათ შესაბამისი ანგარიშფაქტურების წარმოდგენის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო კომისია ტენდერის გამოცხადებას დღგ-ის გარეშე მოახდენდა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ფინანსური სახსრები უფრო რაციონალურად დაიხარჯებოდა და ბიუჯეტი დამატებით სარგებელს მიიღებდა.

➤ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2012 წლის 26 ივლისს ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად, ღირებულებით 600 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი-შპს „ამირანი“, რომლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური მონაცემები ვერ აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, კერძოდ პრეტენდენტს არ გააჩნდა საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მიუხედავად იმისა, რომ შპს „ამირანი“ კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას⁶⁵, იგი გამოვლინდა გამარჯვებულად⁶⁶.

4. კერძო აუდიტის დასკვნები

2013 წლის 13 თებერვალს მარნეულის მუნიციპალიტეტმა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი⁶⁷ გამოაცხადა აუდიტორული მომსახურების შესყიდვის მიზნით, ღირებულებით 18 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების 2012 წლის ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნისა და ანგარიშის მომზადების და მუნიციპალიტეტის

⁶⁵ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, მუხლი 12, პუნქტი 4.

⁶⁶ ხელშეკრულება №420. 07.09.2012

⁶⁷ SPA130003898.

თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ავტომატების აუდიტორული შეფასების მომსახურების შესყიდვა. მათ შორის:

- ა) „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნების დაცულობის სისწორე;
- ბ) სარეზერვო ფონდის ხარჯვის ანალიზი;
- გ) გაწეული ხარჯების მიზნობრიობის სისწორე შესაბამის კანონთან მიმართებაში;
- დ) ბიუჯეტის შედგენა/შესრულების და საბიუჯეტო კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა;
- ე) ბუღალტრული აღრიცხვა/ანგარიშგების წარმოების მდგომარეობა;
- ვ) დებიტორულ/კრედიტორული დავალიანებების რეალობა;
- ზ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა და სხვ.

ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გაიმარჯვა შპს - აუდიტორულმა ფირმა „ლაზიკა აუდიტმა“ და მას სრულად აუნაზღაურდა სახელშეკრულებო თანხა 2,4 ათასი ლარის ოდენობით.

აღნიშნულმა აუდიტორულმა ფირმამ 2012 წლისათვის გასცა დადებითი აუდიტორული დასკვნა⁶⁸, სადაც მიუთითა: მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და წარმოადგინა ცალკეული რეკომენდაცია მაშინ, როდესაც ჩვენ მიერ გამოვლენილია მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარღვევები, რომლებიც ასახულია პირობითი მოსაზრების საფუძვლებში.

შპს - აუდიტორულმა ფირმა „ლაზიკა აუდიტმა“ მუნიციპალიტეტს ცალკე დოკუმენტად მიაწოდა აუდიტორული დასკვნა 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ⁶⁹, სადაც აღნიშნულია, რომ „წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად და უტყუარად ასახავს

⁶⁸ აუდიტორული დასკვნა №115, 03.06.2013.

⁶⁹ აუდიტორული დასკვნა №116, 03.06.2013.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით“.

აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო მტკიცებულებების მოპოვება, რომელი დოკუმენტის საფუძველზე გასცა კერძო აუდიტმა 2013 წელს დასკვნა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რადგან მუნიციპალიტეტს ამ პერიოდში საერთოდ არ გააჩნდა ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი - ორგანიზაციის ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები; პასუხისმგებელი პირები არ ფლობდნენ ინფორმაციას, რომ თვითმმართველი ერთეული ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების საფუძველზე. მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ფინანსური ანგარიშგების ფორმა - ორგანიზაციის ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები 2012 და 2013 წლებისათვის მოამზადა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში, კერძოდ, 2014 წელს.

მასშტაბის შეზღუდვა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ვერ წარმოადგინა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2012 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაცია⁷⁰, რის გამოც აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს აუდიტორულ მოსაზრებას აღნიშნული პროგრამით განხორციელებული შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

- მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ქონებისა და სახელმწიფო საკუთრების მიწების განკარგვის მხრივ არსებული სისტემური და ყოვლისმომცველი დარღვევების გამო, მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების საფინანსო-ეკონომიკური

⁷⁰ ამოღებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 აპრილის №11ა-93-13 განჩინების საფუძველზე.

საქმიანობის შესაბამისობის აუდიტიდან ცალკე გამოიყო უძრავი ქონების განკარგვის შესაბამისობის აუდიტი.

პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:

ზურაბ ჩაფიჩაძე

ხელმოწერა 01.08.2014 თარიღი

უფროსი აუდიტორი:

ზურაბ ქათამაძე

ხელმოწერა 01.08.2014 თარიღი

აუდიტორი:

ლია გუჯაბიძე

ხელმოწერა 01.08.2014 თარიღი

აუდიტორი:

ლელა მიქაძე



ხელმოწერა 01.08.2014 თარიღი

აუდიტორი:


ბარამ ონიანი



ხელმოწერა 01.08.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

სოფიო ბელთაძე



ხელმოწერა 01.08.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

ალეკო იობიძე



ხელმოწერა 01.08.2014 თარიღი